

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 30 ივნისის

დადგენილება №2443

ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და
დოქტორანტურის მოდიფიცირებული
საგანმანათლებლო პროგრამების
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დამტკიცდეს
ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის მოდიფიცირებული
საგანმანათლებლო პროგრამები.

დადგენილებას თან ერთვის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის
საბჭოს 2017 წლის 26 იანვრის №2 სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2017 წლის 30 ივნისის დადგენილება №2443-ის დანართი

ამონაწერი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან N 2

26 იანვარი 2017 წ.

მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მანანა მოისწრაფიშვილის განცხადება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება გამოწვეულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში 2016 წლის 29 იანვრის N07/5 ბრძანებით შესული ცვლილების გამო, რომლის **მუხლი 4. სტუდენტის შეფასება 3.8** მიხედვით „დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები“

აგრეთვე, მან აღნიშნა, რომ აკადემიურ საბჭოზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით წარმოგიდგინებ ფაკულტეტზე მოქმედ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს სტუ–ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 8 დეკემბრის N1350 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ხოლო, ქვემოთ ჩამოთვლილმა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებმა დამატებით მოდიფიცირება განიცადეს ფაკულტეტზე პროფესორ გ. გოლეთიანის მიერ შემუშავებული სასწავლო კურსის „ტექნიკური დიზაინის ისტორია“ 3 კრედიტი, 1 ლექცია, 1 სემინარი, არჩევით ჰუმანიტარულ სასწავლო კურსების ბლოკში ჩამატების გამო.

1. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია;
2. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია (რუსულენოვანი);
3. სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია;
4. კვების ინდუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები;
5. ტრანსპორტი;

6. ტრანსპორტი (რუსულენოვანი);
7. საზღვაოსნო მეცნიერებები;
8. საგზაო ინჟინერია;

სასწავლო კურსის „ტექნიკური დიზაინის ისტორია“ წარმოდგენილი სილაბუსის მიზანია სტუდენტს მისი არჩევის შემთხვევაში შეასწავლოს ტექნიკური დიზაინის განვითარების ძველი და უახლესი ისტორია, მისი თავისებურებები და ძირითადი ტენდენციები, რაც მათ საშუალებას მისცემს თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის შეუქცევად პროცესში ტექნიკური დიზაინის ღირებულებათა შეფასება-გათავისებისას.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ნუგზარ რურუამ, ასოცირებულმა პროფესორმა ნინო თოფურია, პროფესორმა ავთანდილ შარვაშიძემ, პროფესორმა ზაურ ჩიტბიძემ.

დაადგინეს: წარედგინოს სტუ-ს აკადემიურ საბჭოს მოდიფიცირებული აკადემიური პროგრამები დამტკიცების მიზნით:

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები:

1. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია;
2. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია (რუსულენოვანი);
3. სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია;
4. კვების ინდუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები;
5. ტრანსპორტი;
6. ტრანსპორტი (რუსულენოვანი);
7. საზღვაოსნო მეცნიერებები;
8. საგზაო ინჟინერია;
9. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია (ინგლისურენოვანი)

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები:

1. ტრანსპორტი
2. საზღვაოსნო მეცნიერებები
3. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია
4. სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია
5. ლოგისტიკა
6. კვების ინდუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები
7. საგზაო ინჟინერია
8. ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები:

1. მანქანათმცოდნეობა, მანქანათმშენებლობა და საწარმოო ტექნოლოგიური პროცესები
2. ტრანსპორტი

3. ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტი
4. საგზაო ინჟინერია

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ო. გელაშვილი

საბჭოს მდივანი

გ. მათურაძე

სწორია:

გ. მათურაძე